თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 20 მაისი.

“დინამო” (თბილისი) - “შახტიორი” (დონეცკი) 1:1 (0:1).

“დინამო”: კოტრიკაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ქიქავა (ლ. ნოდია), მეტრეველი, სიჭინავა, გავაშელი.

“შახტიორი”: დეგტიარევი, პოლაკი, პერშინი, გუბიჩი, დროზდენკო, გრიგორიევი, სტანკიავიჩუსი (ოგირჩუკი), გლოდიანისი, იარემჩენკო, ლობანოვსკი, ევსეენკო.

მსაჯი ი. ბოჩაროვი (მოსკოვი).

ბურთები გაიტანეს: ლობანოვსკიმ (მე-15 წ.) და მეტრეველმა (65-ე წ.).

ამ გუნდების დუბლიორთა შეხვედრა გუშინწინ ფრედ დამთავრდა - 1:1.

უყურადღებობის შედეგი

მხოლოდ ასეთი შეფასება უნდა მიეცეს იმ გოლს, რომელიც თბილისის დინამოელებმა მიიღეს თავიანთ კარში დონეცკის “შახტიორთან” გუშინწინდელ შეხვედრაში. სხვაგვარად ვერ ახსნი იმ ლაფსუსს, რომელიც დაშვებულ იქნა თბილისელთა საჯარიმო მოედანზე. ამ უყურადღებობას, სიფხიზლის მოდუნებას მოჰყვა გაშვებული გოლი, რომლის გაქვითვას მეტისმეტად გართულებულ, ნერვულ ვითარებაში ჩვენი გუნდი 50 წუთი მოუნდა და საბოლოოდ ისე მოხდა, რომ გამარჯვების ნაცვლად მოხარული დავრჩით ფრეს და მხოლოდ ერთ ქულას.

... მიმდინარეობდა მე-15 წუთი. დინამოელთა კარიდან დაახლოებით 40 მეტრის დაშორებით, მინდვრის კიდეში, “შახტიორის” სასარგებლოდ დაინიშნა საჯარიმო. ლობანოვსკიმ საგულდაგულოდ, ისეთი სერიოზულობით, როგორც 11-მეტრიანის დარტყმისთვის ემზადებიან ხოლმე, გაასწორა ბურთი, გამოსარბენი მანძილის ასაღებად უკან დაიხია, გადავიდა სარბენ ბილიკებზე და თითქმის აღმოსავლეთ ტრიბუნის პარტერს მიუახლოვდა.

ტრიბუნებზე ამ დროს დიდი მხიარულება სუფევდა. აქა-იქ სტვენაც გაისმა. ვაძლევ ჩემს თავს უფლებას ვთქვა, რომ ეს მხოლოდ დილეტანტები იცინოდნენ და სტვენდნენ. მხიარულობდა ის, ვინც არ იცნობს ლობანოვსკის, მის მოჭრილ ბურთებსა და “ხმელ ფოთოლს”, მის მიერ წარმოუდგენელი მდგომარეობებიდან გატანილ გოლებს. მაგრამ დილეტანტი იმის დილეტანტია, რომ გასართობი ეძიოს სტადიონზე, მას ბევრი არაფერი მოეკითხება. აი, დინამოელთა დაცვა და, პირველ ყოვლისა, მეკარე კოტრიკაძე კი სულ სხვაგვარად უნდა მოქცეულიყვნენ ამ სიტუაციაში. ლობანოვსკი მათ საკმარისად ჰყავთ შესწავლილი საიმისოდ, რომ არ დატოვონ უყურადღებოდ მისი საჯარიმო დარტყმა მაშინაც კი, როცა ბურთი კარიდან 40 მეტრითაა დაცილებული და ფეხბურთელი სარბენ ბილიკებზე, ტრიბუნასთანაა გასული. ანალოგიისთვის საკმარისი იყო თუნდაც შარშანდელი მატჩის გახსენება “შახტიორთან”, როცა იმავე ლობანოვსკიმ ჩვენს სტადიონზე დაახლოებით ასეთივე ვითარებაში საჯარიმო დარტყმით გაიტანა ბურთი ურუშაძის კარში.

ჩვენი მცველები როგორღაც უხეიროდ განლაგდნენ საჯარიმო მოედანზე, ხოლო კოტრიკაძემ ერთგვარი “ნეიტრალური” პოზიცია დაიკავა კარში. ამასობაში ლობანოვსკიმ გაირბინა ის მანძილი, რომელიც მას ჭირდებოდა დასარტყმელად და ძლიერად დაარტყა. ბურთმა შემოხაზა პარაბოლა, გაიარა მცველთა მიერ თავაზიანად დატოვებული დერეფანი, გვერდზე გაუარა მეკარეს და წყნარად, შეუფერხებლად მიაღწია ბადეს.

რა თქმა უნდა, ეს გოლი უყურადღებობის შედეგი იყო. მცველებსაც სხვა, უფრო მიზანშეწონილი განლაგება უნდა მოეძებნათ, კოტრიკაძეს კი ეს ბურთი, უბრალოდ, უნდა... აეღო. ეს არ იყო დაკავშირებული რაიმე სიძნელეებთან.

სიძნელეები დაიწყო მერე, როცა "შახტიორმა" ლიდერის როლში იგრძნო თავი. გატანილმა გოლმა გუნდის რიგებში დიდი დამაჯერებლობა შეიტანა, დაცვამ და ნახევარდაცვამ საჯარიმო მოედნის ზონაში შექმნეს გაუვალი ზღუდე, რომლის დაძლევასაც მასპინძლებმა მთელი თავიანთი ძალები შესწირეს და საბოლოოდ მხოლოდ ერთხელ შეძლეს მეტოქის კარის აღება.

თბილისელები ამ დღეს თამაშობდნენ სისტემით 4-4-2, ე.ი. წინ ჰყავდათ მხოლოდ 2 ტიპიური ფორვარდი - მეტრეველი და გავაშელი. ეს სისტემა ახლა საკმაოდ პოპულარულია საერთაშორისო ფეხბურთში და მას მიმართავს მრავალი პირველხარისხოვანი გუნდი როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთაც. აქ ყველაფერი უნდა გადაწყვიტოს ნახევარდაცვის აქტიურმა იერიშებმა, შუა ხაზის მოთამაშეთა სისტემატურმა, სწრაფმა, მოულოდნელმა მონაწილეობამ შეტევაში, მოწინააღმდეგე დაცვის დეზორგანიზაციამ მაღალი ტემპისა და ვრცელი მანევრის გამოყენებით.

ჩვენს ნახევარმცველებს ვერ დავემდურებით. პეტრიაშვილს უმთავრესად მებრძოლი, წამრთმევი ჰავბეკის ფუნქციები ებარა და წარმატებით ასრულებდა თავის მოვალეობას. იერიშებში მონაწილეობა არ აკლდათ სიჭინავას, კუტივაძეს, ქიქავას, მაგრამ საკმარისი იყო ბურთის წამით დაყოვნება, ერთი ზედმეტი დრიბლინგი და "შახტიორის" დაცვის რიგები პირდაპირი პროგრესიით იზრდებოდა. 4-5 მცველს მაშინვე ემატებოდნენ დამხმარე ძალები და საჯარიმო მოედანზე იქმნებოდა შეჯგუფება, მოთამაშეთა თავშეყრა, რომლის დაძლევა შეუძლებელი ხდებოდა.

30 წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა სტუმრების კარის შტურმი, რომელსაც სათავეში მეტრეველი ედგა. ყოველი გარკვეული პერიოდის შემდეგ დეგტიარევის წინაშე იქმნებოდა გარდუვალი გოლის მომენტები, შეტევა შეტევას მოსდევდა, "შახტიორი" კი ნამდვილი სპორტული თავგანწირვით იცავდა თავს. მართალია, მცველები ზოგჯერ სცოდავდნენ თამაშის წესებში (ჯარიმა, ბლოკირება, დროის გაყვანა). განსაკუთრებით "ცდილობდა" მეტრეველის მიმართ დროზდენკო. მაინც დონეცკელებმა ღირსეულად გაუძლეს ამ არნახულ დაწოლას, ხოლო მეკარე დეგტიარევმა რამდენიმე უძნელესი ბურთი აიღო მეორე ტაიმში, როცა ანგარიში უკვე 1:1 იყო. მან კუთხურზე მოიგერია თითქმის უიმედო, "მკვდარი" ბურთი, რომელიც სიჭინავამ ხუთიოდე მეტრიდან თავით გაგზავნა კარისკენ.

მე-15 წუთზე გაშვებული გოლი მძიმე ტვირთად აწვათ თბილისელებს ზურგზე და თუმცა თამაში მთლიანად მათი უპირატესობით მიმდინარეობდა, მარცხის საშიშროება თანდათან სულ უფრო რეალურ ფორმებს ღებულობდა.

გუნდი იხსნა მეტრეველმა. სიჭინავამ და ძოძუაშვილმა მე-60 წუთზე გაითამაშეს კომბინაცია, რომლის შედეგად ძოძუაშვილი მარჯვენა ფლანგზე აღმოჩნდა. აქედან მოწოდებული ბურთი გავაშელმა ფეხქვეშ გაუშვა და მეტრეველმა იგი ნელა, ზუსტად შეაგორა მარჯვენა დაბალ კუთხეში - 1:1.

აი, აქ "შახტიორმა" სწორი ტაქტიკური გადაწყვეტილება მიიღო. იგი არ ჩაჯდა დაცვაში, არ შეუდგა იმის ცდას, თუ როგორ აქცევდნენ თბილისელები თავიანთ დიდ უპირატესობას მეორე გოლად და თვითონვე გადავიდა შეტევაზე. ეს ბოლო 30 წუთი მიმდინარეობდა ძალიან საინტერესოდ, დაძაბულ ბრძოლაში, ისე, რომ მაყურებელს ასაღელვებელი და სანახაობრივი მომენტი საკმარისზე მეტი ხვდა წილად, თუმცა ცვლილება ანგარიშში აღარ მომხდარა.

ბ. ქორქია.

"ლელო", 22 მაისი, 1968 წ.